ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4265952

ნომერი: AR1643718

თარიღი : 12.11.2018

გაცემის თარიღი : 16.11.2018

გაცნობის თარიღი : 16.11.2018

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გზატკეცილი კახეთი , ნავთობბაზის მიმდებარედ , (ნაკვ. 04/004);

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი მაკარიძე პ/ნ 21001001693
- თერჯოლა 4 ძმის ქ. N 31

ნომენკლატურა :

- I კლასი
- დროებითი (საძირკველის არ მქონე) შენობა-ნაგებობა
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რაზედაც გაცნობებთ შემდეგს:
-ვინაიდან საპროექტო ტერიტორია ხვდება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის შეზღუდვის არეალი წარმოსადგენია კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის თანხმობა ჩასატარებელ სამუშაოებთან დაკავსირებით.
-არ დგინდება განმცხადებლის უფლებამოსილება. საჭიროა წარმოდგენილ იქნეს განმცხადებლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი სათანადო წესით დამოწმებული მინდობილობა, რომელიც ითვალისწინებს მინდობილი პირის წარმომადგნელობას სამსახურში ან უფლებამოსილი პირი დარეგისტრირდეს თანაგანმცხადებლად. დაცულ იქნეს სერვიტუტი. იმ შემთხვევაში თუ მოსარგებლე არაა დაინტერესებული საპროექტო სამუშაოებით და განსახორციელებელი სამუშაოებით ეხებით მის სარგებლობაში არსებულ ფართს წარმოდგენილ იქნეს მისი უფლებამოსილი პირის მიერ გაცემული სათანადო წესით დამოწმებული თანხმობა განსახორციელებელი სამუშაოებით ან უფლებამოსილი პირი დარეგისტრირდეს თანაგანმცხადებლად . იმ შემთხვევაში თუ მოსარგებლეა დაინტერესებული წარმოდგენილ იქნეს რეესტრში რეგისტრირებული სარგებლობის საფუძველი და საჭიროების შემთხვევაში მესაკუთრის თანხმობა ან უფლებამოსილი პირი დარეგისტრირდეს თანაგანმცხადებლად .
გაითვალისწინეთ, რომ თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზის გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას, განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.